ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2511372

ნომერი: AR1381457

თარიღი : 29.03.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 17.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე გიორგაძე პ/ნ 38001004123
- საჩხერე ს. ჭალა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1381457 26.02.2016 წ. განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.72.14.036.700 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განსათავსებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემას, გაცნობებთ შემდეგს: განაცხადზე ატვირთული საკადატსრო ერთეული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემისათვის წარმოადგენს ფართობით მცირე ტერიტორიას, გამომდინარე აქედან უნდა ისარგებლოთ რუკაზე ცვლილების ღილაკით და სამსახურის მიერ გამოგზავნილი დანართის შესაბამისად ატვირთოთ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებიც.

ასევე, გაცნობებთ, რომ სოფელ დიღომში სამსახურის მიერ შეთანხმებული „ჩარჩო გეგმის“ შესაბამისად მოხდა აღნიშნული და მიმდებარე ტერიტორიების სისტემატიზაცია. თავად რეალური მდგომარეობით, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე უშუალოდ მიმდებარე არეალის ჩამოყალიბება განხორციელდა საკარმიდამო განაშენიანების სტატუსით, რომელშიც მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გაჩენა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, გამოიწვევს დისონანსს და სამეზობლო თემების პრინციპების დარღვევას. რადგან ფიქსირდება მოსახლეობის საჩივრები მითითებულ ტერიტორიაზე დაბალი ინტენსივობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით და გარდა ამისა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის სტადიაზევე წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრეთა შესაბამისი წესით ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები.
მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ საკითხს განიხილავს “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად;

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.